ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას

ეკა ბუაძე, სამართლის მაგისტრი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.09

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისთვის, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი, რომელიც სიცოცხლისუნარიანობას ჰპოვებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით, ნოვაციას წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართალში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელოვნების წარმოჩენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის სამართლებრივი გარანტიების ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასება. ნაშრომში განხილული იქნება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების სტადიები, ანგარიშის მომზადების ვადები, მისი მომზადების წესი. განხილული იქნება მოქმედი კანონმდებლობა, წარმოჩენილი იქნება მისი ხარვეზები და შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები, რათა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, სოციალური მუშაკი, სასჯელი.

The Importance of Individual Assessment Reports in Sentencing Juveniles

Eka Buadze, Master of Law

Head of the Department of Legal Affairs and Human Resources Management of the Government of the Autonomous Republic of Abkhazia

A b s t r a c t

Harmonization of Georgian legislation with international, European standards recognized by the European Union is a major challenge for the country, among which the field of juvenile justice occupies a special place. The principle of an individual approach to a juvenile, which finds vitality through an individual assessment report, is an innovation in Georgian criminal law, which the Parliament of Georgia introduced into Georgian reality on June 12, 2015 with the adoption of the "Juvenile Justice Code".

The purpose of the paper is to present the importance of the individual assessment report in juvenile justice when imposing a sentence on minors, to analyze the legal guarantees for protecting the best interests of the minor through the individual assessment report, and to assess the compliance of national legislation with international standards. The legislation regulating juvenile justice provides for a number of guarantees that ensure the balancing of the interests of a minor in conflict with the law, with the interests of justice and public safety. In the event of a conflict between legal values, how should a fair balance be achieved? The paper will discuss the stages of using the individual assessment report, the terms and procedure for preparing the report. The paper will demonstrate the relationship between the principles of best interests and proportionality.

The paper will discuss the extent to which public opinion and the media influence the judiciary and the judge hearing the case in the process of sentencing a juvenile, and what role the individual assessment report plays in determining a proportionate sentence for the juvenile by the judge.

Keywords: juvenile, individual assessment report, social worker, sentence.

შესავალი

არასრულწლოვნები თავიანთი განსაკუთრებული ბიო-ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ძალიან განსხვავდებიან ზრდასრული ადამიანებისგან, სწორედ აღნიშნულმა განსხვავებულობამ განაპირობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რადგან არასრულწლოვნებს ზრდასრულებისგან განსხვავებით სპეციფიკური მიდგომა ესაჭიროებოდათ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მთავარ მიზანს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია წარმოადგენს. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი პრინციპი და შესაბამისად, ყველა სხვა პრინციპზე და საკითხზე მაღლა მდგომი და განმსაზღვრელი. [1] არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიღებით შემოიტანა ქართულ რეალობაში, აღნიშნული კოდექსის მიღება ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი დღის წესრიგში დადგა 2003 წელს, როდესაც გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საქართველოს მთავრობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისკენ მოუწოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მართალია ადგენდა ზრდასრულებისგან განსხვავებულ წესებს არასრულწლოვნებისთვის, მაგრამ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის განსაზღვრა პირველად „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ დადგინდა. ვინაიდან

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს“ დიდი ხნის ისტორია არ აქვს, ბუნებრივია პრაქტიკაში გამოიკვეთა უამრავი პრობლემური საკითხი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ანგარიშის მეშვეობით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის სამართლებრივი გარანტიების ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება. ნაშრომის მეშვეობით წარმოჩენილი იქნება თუ რამდენად უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის დაცულობას. ნაშრომში განხილული იქნება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების სტადიები და განხილული იქნება საჭიროებს თუ არა ანგარიშის გამოყენების სტადიები დამატებას. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადებს, თუ როგორ რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული საკითხი და რა პრობლემებს აწყდებიან პრაქტიკაში სოციალური მუშაკები და ზიანდება თუ არა ამ დროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზები. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების წესთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება ახლებური ხედვა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალიზება ხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება არასრულწლოვნის განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. [2] ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მოსამართლეს ეხმარება ჩაწვდეს არასრულწლოვნის ბუნებას, საფუძვლიანად და მეტად შეაფასოს მისი პიროვნება, ვიდრე

ამის საშუალებას სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა. შესაბამისად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საშუალებით იდენტიფიცირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და წარმოჩენილია არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რაც შემდეგ უკვე ასახულია მოსამართლის სასჯელში.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ინდივიდუალური მიდგომის მეშვეობით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვის ვალდებულება ეკისრება ყველას. კერძოდ, ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. [3] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და ინდივიდუალური მიდგომა სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ გარანტიებს წარმოადგენს. ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ცნობენ ყველა ბავშვის უფლებას, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას. [4] „გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ ე.წ. „პეკინური წესების“ მე-16 პარაგრაფის თანახმად, ყველა შემთხვევაში, უმნიშვნელო დანაშაულების გამოკლებით, კომპეტენტური ორგანოს მიერ განაჩენის გამოტანის წინმსწრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი არასრულწლოვანის ცხოვრების პირობები, რომელშიც ჩაიდინა

სამართალდარღვევა, რათა ხელი შეეწყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას. [5] „პეკინური წესები“ წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გულდასმით შეისწავლონ სოციალური მოკვლევის შესახებ ანგარიშები და გადაწყვეტილება მიიღონ მასზე დაყრდნობით. აღნიშნულის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ კომპეტენტურ ორგანოს ანგარიშის მეშვეობით უნდა ეცნობოს არასრულწლოვნის შესახებ სათანადო ფაქტები, როგორიცაა სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, კარიერა სკოლაში, საგანმანათლებლო გამოცდილება და ა.შ. „პეკინური წესები“ მოითხოვს, რომ არსებობდეს სათანადო სოციალური სამსახური კვალიფიციური სოციალური ანგარიშების მოსამზადებლად. „პეკინური წესების“ მე-17 პარაგრაფი განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანოებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებს სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის სტადიებზე. [6]

სამართლიანობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება არის ის ძირითადი ინტერესები, რომლებიც შესაძლოა დაუპირისპირდნენ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით გამოკვეთილ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს კერძოდ, წარმოიშვას ღირებულებითი კონფლიქტი აღნიშნულ ინტერესებს შორის. ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რათა მიღწეულ იქნეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი, ხოლო მეორე მხრივ არანაკლებ ღირებულია უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ამავე

მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა. [7] სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ერთმნიშვნელოვან მოთხოვნად მიიჩნია ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა, როდესაც საქმე ეხება პატიმრობის შეფარდებას. შესაბამისად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 27-ე მუხლის ჩანაწერი, რომ პროკურორი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ გაითვალისწინოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მიზანშეწონილია შეიცვალოს და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზეც სავალდებულო იყოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება. პატიმრობა, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვნის პიროვნებას და მის ფსიქიკას საგრძნობლად აზიანებს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს, არა საჭიროებისამებრ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას, არამედ ყოველთვის როდესაც აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობს სასამართლო. არასრულწლოვნის დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში მისი სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის გამართვამდე მართალია ვერ მოესწრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა, მაგრამ შესაძლებელია ანგარიშის შედგენა დაუყოვნებლივ დაიწყოს და მისი დასრულებისთანავე გადაიხედოს უკვე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის საკითხი.

განრიდების ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანების

დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ხდება სოციალური მუშაკის მიერ საქმის წარმოებაში მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. [8] ათი სამუშაო დღის ვადაში, სოციალური მუშაკი აწვდის პროკურორს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას, ასევე მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ასეთი მცირე დროის განმავლობაში, პრაქტიკაში რთულია, სოციალურმა მუშაკმა ჯეროვნად მოამზადოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, მოიძიოს, გაანალიზოს და დაამუშაოს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული ვადა გაიზარდოს და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ბრძანებაში მიეთითოს მინიმალური 10 სამუშაო და მაქსიმალური 15 სამუშაო დღე, რა ვადაშიც სოციალურმა მუშაკმა უნდა მოამზადოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მცირე დროც კი საკმარისი იყოს ანგარიშის მოსამზადებლად, ზოგიერთ შემთხვევაში კი არასრულწლოვნის განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე დასკვნის მომზადება დიდ ძალისხმევას საჭიროებდეს და შესაბამისად მეტი დრო იყოს საჭირო. ამიტომ დღეს მოქმედი რეგულაციიდან გამომდინარე, უფრო ფორმალური ხასიათი აქვს მიღებული აღნიშნული ანგარიშის მომზადებას და რეალურად არ ემსახურება იმ მიზანს, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველ მუხლში აქვს კანონმდებელს გაწერილი, რომლის თანახმად, კოდექსის უპირველესი მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა. ზემოაღნიშნული ბრძანების დანართი №2-ით მოწესრიგებულია სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში. აღნიშნული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკი ანგარიშს ამზადებს

შესაბამისი დადგენილი ფორმით მოსამართლის/პროკურორის მიერ შესაბამის მიმართვაში მითითებულ ვადაში. სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის კონკრეტული ვადის ნორმატიულად მიუთითებლობა, ცალსახად ხარვეზს წარმოადგენს და ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. მოსამართლის/პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით არ უნდა რეულირდებოდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა. შესაბამისად, მიზანშეწონილია ნორმატიულად იყოს განსაზღვრული კონკრეტული ვადა, რა ვადაშიც სოციალური მუშაკი მოამზადებს ანგარიშს. დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსამართლე/პროკურორი 10 დღეს უსაზღვრავს სოციალურ მუშაკს ანგარიშის მოსამზადებლად, რაც ძალიან მცირე დროა. ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, ანგარიში მზადდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით ინტერვიუ შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შეხვედრის, ისე სატელეფონო კავშირის გამოყენების საშუალებით. ინტერვიუს განხორციელება მათ შორის სატელეფონო კავშირის გამოყენების საშუალებით, არ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რადგან უშუალო ინტერვიუს მეშვეობით სოციალურ მუშაკს შეუძლია უფრო ჯეროვნად და სრულყოფილად მოიძიოს ანგარიშისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, ვიდრე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ინტერვიუს განხორციელების შესაძლებლობა უნდა იყოს ნორმატიულად გათვალისწინებული მხოლოდ ობიექტურად დასაბუთებული გარემოების არსებობის შემთხვევაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას უშუალო კომუნიკაცია უნდა იქონიოს სოციალურმა მუშაკმა გასაუბრების ადრესატთან, იქნება ეს თავად არასრულწლოვანი თუ სხვა გარეშე პირი.

დასკვნა

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეშვეობით არასრულწლოვნისთვის შესაბამისი თანაზომიერი სასჯელის შეფარდებისთვის აუცილებელია განხორციელდეს

ცვლილება და მიზანშეწონილია „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 27-ე მუხლი შეიცვალოს და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზეც სავალდებულო იყოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება.

ასევე მიზანშეწონილია განრიდების ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადები გაიზარდოს და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ბრძანებაში მიეთითოს მინიმალური 10 სამუშაო და მაქსიმალური 15 სამუშაო დღე, რა ვადაშიც სოციალურმა მუშაკმა უნდა მოამზადოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადა ბრძანებით არ არის განსაზღვრული და აღნიშნული ვადის შერჩევა დამოკიდებულია მოსამართლის/პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, რაც აუცილებელია შეიცვალოს და გაიწეროს ბრძანებაში ვადა, რა ვადაშიც ვალდებულება ექნება სოციალურ მუშაკს მოამზადოს ანგარიში. სოციალური მუშაკი ვალდებულია უშუალო კომუნიკაციის გზით შეადგინოს ანგარიში, გარდა დასაბუთებული ობიექტური გარემოებისა, რომელიც გამორიცხავს ასეთის შესაძლებლობას.

ბიბლიოგრაფია

1. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა 2016, გვ.73;
2. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, <https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=25> [წვდომის თარიღი: 29.06.2025];
3. გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, 2011, გვ.6;
4. გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, 2011, გვ.17;
5. გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართმსაჯულების სფეროში, 2011, გვ.42;

6. გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, 2011, გვ.42;
7. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=25 [წვდომის თარიღი: 29.06.2025];
8. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანება, <https://matsne.gov.ge/document/view/3193208?publication=0> [წვდომის თარიღი: 30.06.2025.